ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა

კვლევის მეთოდოლოგია

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით კურსდამთავრებულთა გამოკითხვა წინამდებარე კითხვარისა და კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია:
   - ბსუ-ს მიერ გაწეული მომსახურების შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში;
   - სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობის შესწავლა;
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განვითარების დაგეგმვისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.
2. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგის დანართის სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით, რომელსაც შეიმუშავებს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის კოორდინატორთან ერთად უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას.
3. კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს. კვლევა ტარდება ორ ეტაპად, პირველი ეტაპი ხორციელდება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვისა, ხოლო მეორე ეტაპი კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 36 თვისა.
4. კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს (კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვისა) ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
   - პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
   - ბსუ-ს ადამიანური რესურსის შეფასება;
   - ბსუ-ს მატერიალური რესურსების შეფასება;
   - კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
   - დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;

- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასამება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;

5. კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 36 თვის ფარგლებში კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:
    - კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
    - პროგრამის ფარგლებში/ ბსუ-ში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნა, უნარები და ღირებულებების შეფასება.
6. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად დანართის №1 და დანართი №2 სახით წარმოდგენილი კითხვარების საშუალებით. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის (Google Forms) საშუალებით ასევე, შესაძლებელია კვლევა ჩატარდეს სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით.
7. შემუშავებული კითხვარი კურსდამთავრებულს (სამიზნე ჯგუფი - კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვისა) ეგზავნება ელექტრონული ფოსტისა და სხვა სოციალური ქსელის მეშვეობით და მიეცემა 2 დღე მის შესავსებად, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულები არიან, როგორც ელექტრონულად, ასევე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით, ხოლო სამიზნე ჯგუფში - კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 36 თვისა კვლევა შესაძლოა ჩატარდეს, როგორც ელექტრონული კითხვარის ასევე, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.
8. კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ ინფორმაცია კვლევის მიზანს, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროსთან დაკავშირებით. სავალდებულოა კურსდამთავრებულს მიეწოდოს ინფორმაცია კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული.
9. კურსდამთავრებული უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში.
10. კვლევის დასრულების შემდეგ ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს პროგრამების მიხედვით სტატისტიკურ ანალიზს. კურსდამთავრებულთა კვლევის მასალების ანალიზი წარმოდგენილი უნდა იქნას კვლევის ჩატარებიდან არაუმეტეს ერთ თვეში. განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ადგენს გაუმჯოებესების გეგმას, რომელსაც ათანხმებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და ცენტრის დირექტორთან.
11. კვლევის მეთოდოდლოგია და კითხვარი განთავსებულია ბსუ-ს ვებ - გვერდზე (www.bsu.edu.ge).

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების
მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის

დანართის №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა

კვლევის კითხვარი

(კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვე)

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას მიზანია: შესწავლილი იქნას: როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები ბსუ-ს მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში და ცენტრმა შეისწავლოს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.

მადლობას გიხდით მხარდაჭერისა და პროგრამის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის.

1. რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეთ?

.....

2. სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რა იყო თქვენი მოლოდინი პროგრამის შესახებ? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)

- მივიღებდი პროფესიულ ცოდნას;
- მივიღებდი პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას;
- გავიგებდი, სამომავლოდ სად შეიძლება ჩემი პროფესიით დავსაქმდეთ;
- გავიცნობდი მომავალ კოლეგებს;
- გავხდებოდი ჩემი საქმის პროფესიონალი;
- სხვა .....

3. პროფესიულმა საგანმანათებლო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინი მის მიმართ? (უარყოფითი პასუხის შემთვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ)

- მთლიანად გაამართლა
- ნაწილობრივ გაამართლა
- ----------

4. ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?

o დიახ o არა

5. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში?

- ძალიან კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიან ცუდი
- მიჭირს პასუხის გაცემა

6. როგორ შეაფასებდით ბსუ-ში არსებულ შეფასების სისტემას?

- ობიექტური/სამართლიანი
- არაობიექტური/არასამართლიანი
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

7. როგორ შეაფასებდით სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას (სასწავლო მასალები, სახელმძღანელოები, ლაბორატორია და სხვ.)

- ძალიან კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიან ცუდი
- მიჭირს პასუხის გაცემა

8. დაცული იყო თუ არა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უსაფრთხოების ნორმები? (უარყიფითი პასუხის შემთვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ)

- დაცული იყო
- არ იყო დაცული
- ----------

9. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში გავლილ საწარმოო პრაქტიკას ? (თუ თქვენი პროგრამა არ ითვალისწინებდა საწარმოო პრაქტიკას გადადით შემდეგ კითხვაზე)

- ძალიან კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიან ცუდი
- მიჭირს პასუხის გაცემა

10. დაცული იყო თუ რა თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები? (უარყიფითი პასუხის შემთვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ)

- დიახ
- არა
- ----------

11. იღებდით თუ არა ბსუ-სგან სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?

- დიახ
- არა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

12. გიწევდათ თუ არა ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას“ (გონივრულ ვადებში გიგვარებდნენ თუ არა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს)

- დიახ
- არა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

13. უზრუნველყოფილი იყო თუ არა ბსუ-ში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა?

- დიახ
- არა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

14. იღებდით თუ არა ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე სწორი პასუხი)

- დიახ, ვაკანსიების შესახებ ვიღებდით ინფორმაციას პირადი კომუნიკაციის საშუალებით;
- დიახ, ვაკანსიების შესახებ ვიღებდით ინფორმაციას ბსუ-ს ვებ - გვერდის და სხვადასხვა სოციალურ ქსელის მეშვეობით (Messenger, Facebook, Whatsapp);
- დიახ, ვაკანსიების შესახებ ვიღებდით ინფორმაციას ბსუ-ში გამაღთულ სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრების დროს;
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

15. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა?

- დიახ დავიწყე მუშაობა შესაბამისი სპეციალობით
- დიახ დავიწყე მუშაობა სხვა სპეციალობით
- სწავლის დაწყებამდე მქონდა ანაზღაურებადი სამუშაო
- არა

17. თუ კითხვა №15-ს პასუხი არის „არა“ გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ/მუშაობდით ბსუ-ში მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციით.

(შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი, თუ ისინი ლოგიკურ წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან)

- არასაკმარისი კვალიფიკაცია მქონდა
- ხელფასი იყო არადამაკმაყოფილებელი
- სამუშაო გრაფიკი იყო არადამაკმაყოფილებელი
- სამუშაო საათები (მუშაობისთვის განკუთვნილი დრო) იყო არადამაკმაყოფილებელი შრომის უსაფრთხოების პირობები არ იყო დაცული
- სამსახური შორს იყო საცხოვრებელი ადგილიდან
- სხვა.....

18. ეძებთ თუ არა ამჟამად სამუშაოს?

- დიახ
- არა

19. როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს?

(ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მიზეზებიდან გთხოვთ, მონიშნოთ ყველა პასუხი რომელიც შეგესატყვისებათ).

- არ გაქვთ საკმარისი კვალიფიკაცია
- არ გაქვთ ძირითადი უნარები (მაგ. უცხო ენებზე საუბრის, კომპიუტერის გამოყენების, სხვებთან ურთიერთობის და ა.შ.)
- არ გაქვთ საკმარისი გამოცდილება
- თქვენს პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა
- სხვა----------

20. გთხოვთ, რეკომენდაციის სახით დაწეროთ რის გაუმჯობესებას ისურვებდით.

.....

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების
მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის

დანართის №2

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა

კვლევის კითხვარი

(კვალიფიკაციის მინიჭებიდან 36 თვე)

1.რომელია თქვენი სტატუსი ამჟამად? გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.

- დასაქმებული პროფესიის შესაბამისად;
- თვითდასაქმებული პროფესიის შესაბამისად;
- დასაქმებული სხვა პროფესიით;
- თვითდასაქმებული სხვა პროფესიით;
- არ ვარ დასაქმებული

2. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სამუშაო პოზიციის დასახელება

---

3. რამდენად ხშირად იყენებთ/გამოგადგათ თქვენს ამჟამინდელ სამსახურში ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე სწავლისას მიღებული ცოდნა და უნარები?

- გამომადგა/ვიყენებ
- ნაწილობრივ გამომადგა/ვიყინებ
- არ გამომადგა/არ ვიყინებ

4. იმ შემთხვევაში, თუ არ ხართ დასაქმებული რა არის ამის მიზეზი?

---

5. ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში?

- სამსახურის შეცვლა;
- სწავლის დაწყება სხვა პროფესიულ საგანმაანთლებლო პროგრამაზე;
- სწავლის დაწყება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საკუთარი ბიზნესის დაწყება
- არ ვაპირებ ცვლილებებს

6. ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გაქვთ ბსუ-სთან

გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი

- ელექტრონული ფოსტით მიმოწერა;
- სატელეფონო კომუნიკაცია;

- კურსდამთავრებულთა შეხვედრები, სხვადასხვა ჯგუფის წევრობა;
- ბსუ-ს მიერ დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სოცილური ქსელის მეშვეობით;
- პროფესიული განვითარება კონსულტაციები, სწავლება